ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **17-01172162144**

თარიღი: **04.08.2017**

ადრესატი:
გოგა კვარაცხელია
პირადი ნომერი: 58001006277
მისამართი: თბილისი ს. დიღომი ოთხი ათასი მესხის ქ. N 9 ბ. 5

ბატონო გოგა,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი N19/01172123105-17 განცხადების პასუხად გეგზავნებათ ბრძანება ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

დანართი: ბრძანების 1 (ერთი) ეგზემპლარი

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური -
სამსახურის უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ ბ-19/01172123105-17

"04" 08 2017 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი–საბურთალო, დასახლება დიდი დიღომი, ყოფილი ტელევიზორების ქარხნის და IV მკ/რ V კორპუსის მიმდებარედ (საკ. კოდი №01.10.07.007.013) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური კომპლექსი (ავტობაზა, ღია ავტოსადგომი, სერვისცენტრი, საწვავგასამართი სადგურები (როგორც დიზელის, ასევე ბუნებრივი აირის), ავტობუსების სამრეცხაო, სპორტული მოედანი, ადმინისტრაციული შენობები და ა. შ.)) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესახებ ბრძანება – №1052668 20.12.2013წ.
მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №2784756 22.08.2016წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი–საბურთალო, დასახლება დიდი დიღომი, ყოფილი ტელევიზორების ქარხნის და IV მკ/რ V კორპუსის მიმდებარედ მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ფასადებზე ნაწილობრივ შეცვლილია ვიტრაჟების და მოაჯირების ნახატი. შეცვლილია რელიეფის დონე, შენობის ძირში გაუქმებულია საფეხურები, ნაწილობრივ შეცვლილია ბაქნების ფორმა. შეფუთულია ცოკოლი.
„10-1" ფასადი: -0.15 ნიშნულზე „7-4" მონაკვეთში შემცირებულია შშმპ პანდუსების სიგრძე, რის გამოც გაზრდილია პანდუსების დახრის პროცენტულობა. ამავე მონაკვეთში ვიტრაჟი გადმოწეულია ფასადის მხარეს და დამატებულია ერთფრთიანი კარი. +7.60 ნიშნულზე „6-5" მონაკვეთში შეცვლილია კარის ნახატი. +10.40 ნიშნულზე „7" ღერძთან შეცვლილია კომპანიის ლოგოს მდებარეობა.
„1-10" ფასადი: ±0.00 ნიშნულზე „7-8" მონაკვეთში შეცვლილია ფანჯრის ნახატი. „9-10" მონაკვეთში ორი კარის ზემოთ მოწყობილია კონდიციონერები. +4.00 და 7.60 ნიშნულებზე „3-5" მონაკვეთში შეცვლილია ფრამუგების გაბარიტი. +7.60 ნიშნულზე „8-9" მონაკვეთში შეცვლილია ორი კარის მდებარეობა.
„ა-ვ" ფასადი: „ა-გ" მონაკვეთში შეცვლილია პანდუსის მდებარეობა და ასვლის მიმართულება. ±0.00 ნიშნულზე „ბ-გ" მონაკვეთში შეცვლილია კარის გაბარიტი.
შენობის შიგნით შეცვლილია კიბის საფეხურების რაოდენობა. სახურავზე შემცირებულია კიბის უჯრედის სატავსოს გაბარიტი და შეცვლილია კარის მდებარეობა. დამატებულია გამწოვი მილები.

გადასასვლელი ხიდი, სერვის ცენტრი

„1-9" ფასადი: წყლის მილები შეფუთულია ფასადის სიბრტყეში. ±0.00 ნიშნულზე შეცვლილია შლაგბაუმების მდებარეობა და დამატებულია კონდიციონერები. +4.00 ნიშნულზე „5" ღერძთან შეცვლილია ფანჯრებს შორის ურთიერთმდებარეობა.
-0.45 ნიშნულზე „3-7" და „7-3" მონაკვეთებში შეცვლილია ბაქნების გაბარიტი. „1" და „9" ღერძებზე შეცვლილია ლითონის სვეტების შეფუთვების გაბარიტი. ამავე მონაკვეთებში შემცირებულია კარებების რაოდენობა.

სერვისცენტრი

ფასადებზე შემცირებულია ვიტრაჟების სიმაღლე, ნახატი და რაოდენობა. ნაწილობრივ შეცვლილია კარის ნახატები, რაოდენობა და კარის ძირებში დამატებით მოწყობილია

საფეხურები. ფასადებზე შეცვლილია დიდი ზომის კარის ნახატები და შემცირებულია სიმაღლე. ტექნიკურ ორმოებთან გაზრდილია კიბეების რაოდენობა. შენობის შიგნით ნაწილობრივ შეცვლილია ტექნიკური ორმოების გაბარიტი, ფორმა და ტექნიკურ ორმოებს ნაწილობრივ მონაცვლებული აქვს ადგილი. ნაწილობრივ შეცვლილია ტექნიკურ ორმოებში არსებული კიბის საფეხურების რაოდენობა. შეცვლილია კოლონის ძირის ფორმები. კოლონებს შორის ზოგიერთ ადგილას დამატებით მოწყობილია ლითონის საყრდენები, ასევე დამატებით მოწყობილია ჰორიზონტალური ლითონის დეტალები.

„ფ-ა" ფასადზე: ფ ღერძის მარჯვივ დამატებით მოწყობილია გამწოვი და საკომუნიკაციო მილები. თ-ზ მონაკვეთში ვიტრაჟის ნაცვლად მოწყობილია დიდი ზომის კარი. ა ღერძზე გაუქმებულია ლითონის კიბე.

„ა-ფ" ფასადზე: თ-ზ მონაკვეთში ვიტრაჟის ნაცვლად მოწყობილია დიდი ზომის კარი. ტ-ფ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილები. ფ ღერძის მარცხნივ დამატებით მოწყობილია ვიტრაჟი.

„1-9" ფასადზე: 3-5 მონაკვეთში გაუქმებულია 2 კარი.

„9-1" ფასადზე: 8-7 მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კონდიციონერები.

„გეგმების მიხედვით": ±0.00 ნიშნულზე ა-ფ ფასადის მხარეს ა-პ მონაკვეთში ფასადის წინ დამატებით მოწყობილია ცხაურები. შენობის შიგნით დამატებით მოწყობილია საკომუნიკაციო ჭები. ლ-კ მონაკვეთში სამუხრუჭე სტენდებს მონაცვლებული აქვს ადგილი თ-ზ ღერძებისკენ. ტ-უ მონაკვეთში შეცვლილია კიბის ფორმა და შემცირებულია საფეხურების რაოდენობა. უ-ფ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კიბე. +4.45 ნიშნულზე ტ-ფ მონაკვეთში შეცვლილია დონე. შემცირებულია შენობის მთლიანი სიმაღლე 2მ-ით.

ავტო-გასამართი სადგური

„ა-ბ" მონაკვეთში შეცვლილია ცხაურის რაოდენობა და მდებარეობა.

ბენზინ-გასამართი სადგურის, საოპერატორო შენობა

„ა-ბ" ფასადი: „ბ" ღერძთან დამატებულია კონდიციონერი.

სამრეცხაო

„1-9" ფასადზე: 2,4,5,6, და 8 ღერძებში დამატებით მოწყობილია ვერტიკალური მილკვატრატები.

„9-1" ფასადზე: კარის ღიობებს შორის გაზრდილია შუაკედლისების სიგანე რის გამოც შემცირებულია ღიობების სიგანე.

„ა-ზ" ფასადზე: ა*-ბ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია საკომუნიკაციო მილი.

„გეგმების მიხედვით": შეცვლილია კოლონის ძირის ფორმები. კოლონებს შორის ზოგიერთ ადგილას დამატებით მოწყობილია ლითონის საყრდენები, ასევე დამატებით მოწყობილია ჰორიზონტალური ლითონის დეტალები. 5*-5 მონაკვეთში ნაწილობრივ შეცვლილია ცხაურის ფორმა.

დაცვის ჯიხური

დაცვის ჯიხურებზე დამატებულია კონდიციონერი, გაერთიანებულია კარი და ფანჯარა. შეცვლილია გადასასვლელ ხიდთან მდებარე დაცვის ჯიხურის მდებარეობა. სერვის ცენტრსა და ღობეს შორის მდებარე დაცვის ჯიხურს ღობის მხარეს გაუქმებული აქვს ფანჯარა.

სატრანსფორმატორო, საქვაბე

„ა-ე" და „1-4" ფასადებზე შეცვლილია ფანჯრების ნახატი. „4-1" ფასადზე დამატებულია ღიობი და გამწოვი მილი.
ტერიტორიაზე გაზრდილია გაწვანების ფართი.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.პ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის საკრებულოს №20-94 30.12.2014წ. გადაწყვეტილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია"-ს, ქ. თბილისში, სექტორი–საბურთალო, დასახლება დიდი დიღომი, ყოფილი ტელევიზორების ქარხნის და IV მკ/რ V კორპუსის

მიმდებარედ (საკ. კოდი №01.10.07.007.013) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური კომპლექსი (ავტობაზა, ღია ავტოსადგომი, სერვისცენტრი, საწვავგასამართი სადგურები (როგორც დიზელის, ასევე ბუნებრივი აირის), ავტობუსების სამრეცხაო, სპორტული მოედანი, ადმინისტრაციული შენობები და ა. შ.)) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/01172123105-17 31.07.2017წ. და №19/01172132796-17 01.08.2017წ. განცხადებები.

სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე